კანტორა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თავ.-აზნაურთ ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
თად მიმართავენ რედაქციას დილის
9 საათამდე და საღამოს 6—7
„ქ. ქ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გაზეთი

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

## 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
## გაზეთ „ცნობის ფურცელზე“

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

შეამჩნიეთ ახალი მო-
სავლის ღვინოები

ღვინის სარდაფი
„იყალთო“
თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ.
„როსსიას“ ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავ-
ხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი
„იყალთო“
ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე,
ვედროთი ფასი დაკლებულია.

ამა წლის ჭინჭველ ასწვრილდე ღვინო სწქუ-
თაე ახალი მოსავლის ღვინის ქილვ. ვინც ათ
ბოთლს ერთად იყიდის დაეთმობა 1 მ. და 80 კ.

Винный складъ
Князей Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
„ИКАЛТО“
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—47)

შეამჩნიეთ ახალი მო-
სავლის ღვინოები

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი უკელაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
I. Г. МЕЛИКОВЪ
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100—94)

სამკურნალო და ამბულატორია
ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს შ. ქ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოზანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ფ. ბა-
ცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია.
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** თავ. ი. გ. ამილახვარი სამ-
რევლო სკოლების მზრუნველად.
ქართლ-კახეთის საეპარქიო სამასწავლებლო რჩევის თხოვნით, კავალერიის გენერალმა თავ. ი. გ. ამილახვარმა მიიღო ქ. ტფილისის ხარფუხის ნაწილის სამი სამრევლო სკოლის მზრუნველის წოდება, რომელთაგან ერთი სკოლა დაარსებულია მეფე ერეკლე II-ის სახელობაზე.

*** ქართული საღამო განჯაში. კვირას, 31 იანვარს, განჯის საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართა ჩვეულებრივი ქართული საღამო, რომლის შემოსავალი დანიშნულია ქართ. შორის წერ.-კ. გამ. საზოგადოების სასარგებლოდ. საღამოში მონაწილეობას იღებდნენ ამ აზრით ტფილისიდან მოწვეული არტისტები გაბუნია-ცაგარლისა, ვ. ა. აბაშიძე და ტფილისის ოპერის ბარიტონი ბ. კაშიონსკი. დიდი სათეატრო დარბაზი ძლივს იტევდა დამსწრე საზოგადოებას, რომელიც არტისტებმა დიდად დაატკბეს. შემოსავალი საკმაოდ შესამჩნევი იყო. („კავკ.“)

*** სოფლების შუამდგომლობა. როგორც ისმის, ს. ბულაჩაურის საზოგადოების მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ მათ შეღავათი მიეცეს გადასახადებში იმ გაჭირვების გამო, რომელიც ამ საზოგადოებას სეტყვამ მიაყენა.

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს გენ. საგინაშვილს უკვე მიუღია ნება-რთვა უმაღლესის მთავრობისაგან, მოახდინოს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელსაც საგნად ექნება: შემოღებულ იყოს თუ არა გუბერნიაში ერობა და სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულთა არჩევნები, თანახმათ ახალის წესდებულებისა. როგორც ხმა დადის, ეს საგანგებო კრება 2 მარტისთვის არის დანიშნული.

*** კნ. ელ. ბარიათინსკას გარდაცვალება. 1 თებერვალს, გერმანიაში გარდაიცვალა კავკასიის მთავარ-მართებლად ნამყოფის გენ.-ფელდმარშლის ქვრივი კნეინა ე. დიმიტრის ასული ბარიათინსკისა. გარდაცვალებული საქართველოს შვილი იყო, ჩვენი ნიჭიერის მგოსანის თავ. ვახტანგ ორბელიანის ძმისწული. კნეინა ელისაბედი პირველად იყო გათხოვილი პოლკ. დავიდოვზე, ხოლო მეორეთ მისთხოვდა თავ. ბარიათინსკისა. გარდაცვალებული დიდი ხანია სუ-
ლით იყო ავად და ამავე სნეულებით მოელო ბოლო.

*** „ვეფხვის-ტყაოსნის“ ხელთნაწერის პოვნა. დაბა იგდირში (ერ. გუბ.) უპოვნიათ ძველი ხელთნაწერი „ვეფხვის-ტყაოსანი“. ხელთნაწერი ტყავის ყდაშია. სიგრძე აქვს ექვსი ვერშოკი და სიგანე 4 ვერ. წიგნი სუფთად არის შე-

ნახული, თუმცა შიგა და შიგ რამდენიმე ფურცელი აკლია. ლექსთა წყობილება ბევრს ადგილებში უკვე დაბეჭდილს ,,ვეფხვის-ტყაოსანს“ არ წაგავს, სათაურებიც ალაგებში შეცვლილია. მისი განსხვავება განსაკუთრებით შესამჩნევია ერთ ადგილას; ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დაბეჭდილ „ვეფ. ტყ“-ში არ არის და აღნიშნულ ხელ-ნაწერში კი ვკითხულობთ ტარიელის ანდერძს, რომელსაც თავის შვილს ეუბნება, როდესაც ინდოეთზე ილაშქრებს. ხელთნაწერი მეტად წვრილ ასოებით არის ნაწერი და შეიცავს 84 გვერდს. დღეს თურმე ეს ხელნაწერი ერევნის ვიცე-გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის ხელშია. ურიგო არ იქნება ყურადღება იყოს მიქცეული ამ ხელნაწერზე.

*** ახალი დანიშნულება. შორაპნის მომრიგებელ-განყოფილების მოსამართლე ე. ო. ყუბანეიშვილი, რომელიც დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან გასულ წლის 30 დეკემბერს, ჩარიცხულია სასჯულო საქმეთა სამინისტროში, ხოლო შორაპნის მომრიგებელ-მოსამართლედ დანიშნულია ოჩემჩირის მომრიგებელი-მოსამართლე პ. მ. იასინსკი.

*** ბორანი ჭოროხზე. ქუთაისის საგუბერნიო გამგეობამ ნება დართო გაიმართოს ბორანი მდ. ჭოროხზე ს. ნოგვარებში. ამ ბორნის შემწეობით შესაძლებელი შეიქნება მიმოსვლა უმოკლესი გზით მურღულის ხეობასა და ბათომ-ართვინს შუა. ეს გზა შესამჩნევად გააადვილებს და გააიაფებს თამბაქოსა და ხილეულობის გადატანას მურღულიდან ბათომსა და ართვინში, პირდაპირ დაუკავშირდება ბათომ-არდაგნის გზატკეცილს და სასარგებლო იქნება მრავალ სხვა მხრითაც.

*** ოლქის სასამართლოს სესსია ბათომში. 1 თებერვალს ბათომში გაიხსნება ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც გასტანს 9 თებერვლამდე, რადგან 1899 წლიდან სესიებს 10 დღის ვადა ეძლევათ. სესიას შეადგენენ სასამართლოს წევრნი ს. ნ. სტეფანოვი და ვ. ა. დრეევიც-კოვაჩი, ხოლო მათ მისამატებლად, მორიგეობით, ბათომის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე ფ. მ. ოსოვსკი და საპატიო მომრიგებელი-მოსამართლენი. ბრალმდებლად არის ს. ი. ვოიდატოპაცევიჩი. 3 თებერვლისათვის დანიშნული იყო განსახილველად შემდეგი საქმეები: 1) ბეგლარ გეგენავასი, 2) გიორგი ღლონტისა და 3) ჰუსეინ გორაძისა.

*** ცხენის რკინის გზის ახალი სადგურის აშენება. უსახელო საზოგადოების დირექტორმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ერევნის მოედანზე კონკით მოგზაურთათვის უფრო დიდი სადგურის აშენების პროექტი და გეგმა, ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა დირექტორს, წარმოადგინეთ უფრო პატარა სადგურის აშენების პროექტიო.

*** კავკასიის შუშას მწარმოებელი საქციონერო საზოგადოება. მოსკოვში ძმათა ბერგმანთა სავაჭრო სახლი აარსებს კავკასიის შუშის მწარმოებელ საქციონერო საზოგადოებას ბორჯომში არსებულ შუშის ქარხნის შესანახად და მისი მოქმედების გასაძლიერებლად.

*** ცემენტის მწარმოებელი საზოგადოება. კავკასიაში არსდება თაუზის ცემენტის მწარმოებელი საქციონერო საზოგადოება, რომელსაც ძირის თანხად ექნება 1.500,000 მან.

*** ქვავილი ტფილისში შესამჩნევად შემცირდა და საიმედოა, რომ მალე სულაც მოისპობა, რის გამო განზრახვა აქვთ შეადგინონ ყველა იმ სახლების სია, რომელშიაც ყვავილი გაჩნდა, რომ ამ სახლებში მეორეჯერ გაუკეთონ დეზინფექცია გაზაფხულზე და ზაფხულზე.

*** სიფილისიან კაცების საავადმყოფო. განზრახვა აქვთ, რომ ერთ-ერთი ღამის სათევი თავშესაფარი მოაწყონ სიფილისით ავადმყოფი მამაკაცთა მოსათავსებლად, რომლებიც ამ ჟამად მიხეილის საავადმყოფოში იმყოფებიან, ხოლო მიხეილის საავადმყოფოს სასიფილისო განყოფილებაში განზრახულია სახადით ავადმყოფნი დააწვინონ.

*** კონსტ. თეთრაძის საქმე. 16 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია საყურადღებო საქმე ტფილისის სახაზინო პალატის სამსახურიდან დროებით დათხოვნილ მდივნის კონსტანტინე თეთრაძის, რომელსაც ბრალდება ქრთამის აღება. ბრალდებულს დაიცავს ნაფ. ვექტურკევიჩი.

*** გამოუცნობელი საკვდილი. პოლიციის მეექვსე ნაწილში, ჩიტაძის სახლში მცხოვრები თავ. ს. ტ. ჩერქეზიშვილი 31 იანვარს დაბრუნდა შინ რიყიდან თავ-გატეხილი, უქუდო და უქამარ-ხანჯლო. ნათესავების კითხვებზე ჩერქეზიშვილმა უპასუხა, ქუდი და ქამარ-ხანჯალი დავკარგეო. 1-ლ თებერვალს თავ. ჩერქეზიშვილი მოკვდა.

*** სტუდენტების გამოცდა. პეტერბურგის უნივერსიტეტში გამოცდის დროს ყველაზედ საუკეთესო თხზულებები დასწერეს კავკასიის სტუდენტებმა, რომლებმაც დაამთავრეს ტფილისის პირველი და მეორე საკლასიკო გემნაზიები. რიცხვით სულ ხუთნი იყვნენ და მიიღეს ჯილდოთ ოქროს მენდლები: იურიდიულ ფაკულტეტზე—ი თხორჟევსკიმ და რ. ოჰანესიანცმა; საბუნების მეტყველობაზე—ა. მულინმა და აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე—ჯავახიშვილმა და ადონცმა.

*** ახალი დანიშნულება. ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ბ. ბუტენკო დანიშნულ იქმნა კავკავის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად.

*** ქუკიის უფასო სამკურნალო. კუკიის ქალაქის უფასო სამკურნალოს გახსნა ვანზრახულია ამ თვის გასულს.

*** ქალაქის საბჭოს შემდეგი სხდომა დანიშნულია ორშაბათს 8 თებერვალს.

*** **პატარა ლიახვის ხეობა.**

ქურდ ოსების საქციელზედ. ორი კვირაა არ მინახავს ქურდი ოსები, ვეღარც გაზეთებში შევხვდი ამათ ამბავსა და ცოტა არ იყოს, ეჭვში შევედი. ვიფიქრე: სწორედ გასწყრომიათ „ვაჩილა“ (ოსების წმინდანი), მამა-პაპური ანდერძი აუჯანყნიათ, „ქითაბი“ დაურღვევიათ, ქურდობა დავიწყებიათ და ოხრათ დარჩენილა მცვრიანი სუკები-მეთქი. დალახვრა ღმერთმა კაცის ფანტაზია. რა საფიქრებელი იყო: ოსებმა ქურდობას თავი დაანებეს; იმათი მკვდრები წამომდგარან საფლავიდგან და არიგებენ შვილებს, ნულარ გვიკლავთ ქართველებიდგან მოპარულ ძროხებსა, არ მოგვდისო. ჩვენათა ვსთქვათ და რა ჰქნან თუ-კი უყვართ სუკები? „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო“. კეთილი ცხოვრება ვის მოსწყინდება?. ვისაც ბედნიერ დღეებში საკლავი არა ჰყავდათ, რავდენიმე პირად გაულაშქრიათ ქართლისაკენ სუქან საქონელზედ. ზოგნი მათგანი გადასულან დუშეთის მაზრაში, სოფელ ვილდაში მოუპარავთ ერთი სუქანი ხარი და ერთიც ისეთი უშობელი, რომ ბეწვი გამოეძროთ, ქონი გამოჰყვებოდა, გამოაცილეს ბეწვის ხიდსა, გადმორეკეს სამშვიდობოში; აწერის ხევს ზემოდგან, პატარა ლიახვის ხეობაზედ "ვართარირაც" შემოსძახეს ქურდმა ოსებმა. შესცქეროდნენ მსუქან საკლავებს და პირში ნერწყვი მოსდით. სალამოზედ მცვრიანი სუკები?.. მამა-პაპას ურჩევნიანთ. მაგრამ

მუხთალი ბედი უსამართლ…
მოექცათ; სალამომდინ აღარ დ…
ცალა. აგერ გამოჩნდა ორმოც…
დინ ვილდელი ტალიკ-ტალ…
ბაჰები; თოფ-იარაღში ჩასხმულ…
თითის წვერებზედ დგებოდნ…
ისე მოჰქროდნენ და მოჰქუხდნ…
რომ ადამიანს შიშის ჰვლებს…
ყენებდა გვერდებში.

იკადრეს ქურდმა ოსებმა, …
ცხრილეს ურიის ცხენივით ტ…
კენ, მაგრამ ორი ვილდელი მ…
რულ საქონელთან დარჩა და …
ნარჩენები კვალში ჩაუდგნენ ოს…
შევიდნენ ქურდები თავიანთ სა…
ში და ისინიც თვალის დახამ…
ბაზედ, როგორც მეხი დაე…
თავს. ბიჭებმა გათენებისას ვილ…
ში ისაუზმეს საქონლის პატ…
თან და აი ეხლა ვახშამს შეექ…
ვიან ქურდების სახლში. ვინ …
ის ქურდი? ეს გახლდათ პატ…
ლიახვის ხეობაზედ გამოჩენ…
კაცი სიმდიდრით, ხნოვანობ…
პატიოსნებით და მჭერ მეტ…
ლობით. ბევრჯერ გახლდათ …
ლის „სუდიათ“, ,,პოპოშნიკ…
მამასახლისისა და სხვა საპა…
სასოფლო საქმეების ამორჩ…
კაცად. დღესაც რვაასი კომ…
სოფლის ,სუდიის‘ ,კანდიდატ…
ირიცხება. დილაზედ ჩამოატ…
პატარა ლიახვის ოსების პატი…
ნი ვილდელებმა დატუსაღებ…
შვილითურთ. გზა და გზა იმ…
მოსცხეს აქაურ პატიოსანს,
მგონი ნიკას დალაბანდსაც არმო…
დრია იმდენი. თითო დუშურს …
სდებდნენ ხოლმე კაბდოსავით …
როგორც ზარბაზანი ისე გავარ…
ბოდა. მიერეკებოდნენ მამა-შ…
ბოქაულთან იაც-და-ათი ვე…
მანძილზე. თავიანთი ,ხისტ…
(უფროსის) დამნახავი აქ…
ოსები წვერსა და თმას იხოკ…
ნენ; მაგრამ, მახლას... ყოყ…
ჩინა, ოსურ გმირს მუცელში …
უარდა ენა; აკაკის მელასკ…
ცხრათ გაირკალა, მოლესა ქ…
დული ენა და ერთი ლაგაისმ…
,,არა, სენი წირიმე ბატონი“. …
არ გაუვლიათ სამი ვერსი, ქ…
დები და ვილდელები დაბრუნდ…
უკან. ამოირჩიეს შუა კაცები, …
მლებმაც გადაახდევინეს ქურ…
თხები, ცხვრები, თოფი და ს…
გაირეკეს ვილდელებმა მოპარ…
და გადახდევინებული საქონ…
და გაუდგნენ გზას თავიანთ …
ლისაკენ. მეორე ოსების წ…
სოფელ მერეთში მოეპარათ …
ხარი. აქაც უკულმა დაუტრიალ…
ჩარხი. შინამდი კი გადმორ…
მაგრამ ვაი იმ გადმორეკვას. …
პირეს დაკვლა საქონელს და …
რეთის აზნაური და გლეხი …
დაესხა ქურდებს. დატრია…
თოფ-ხმალ-ხანჯალ-დამბაჩები.
აქ გახლდათ ჰაპან-წყვეტა! …
ეულ ელტურელ ოსს თავვის…

ხუთ მანეთად ულირდა. ღი
შენთვის ღმერთო! რა
ხოლმე ოსურ ყოყლოჩი-
ობას. ამისთანა დროს საცოდა-
, გაწუწული ქათმებივით აი-
ხებიან, მელასავით თავს მოი-
ნურებენ და სულ შაქარი
ლით პირიდგან. მშვიდობია-
გათავდა საქმე. ამოირჩიეს შუა
ები. ერთი ხუთად გადაახდე-
ქურდებს მონაპარი. დაუხო-
ტურელებმა მერეთელებს
ვები, კარგათ გაუმასპინძლდ-
და გაისტუმრეს. მერეთელებ-
ინ გამოირეკეს მოპარული და
ხდეინებული საქონელი, ლო-
თავი ჯოხზედ გააკეთეს ბაი-
ად, ჩამოიარეს სოფელ-სოფელ
ერით და გასწიეს შინისაკენ.
მე წყებამ აღარ შეიწუხა თა-
მორ სიარულით, იქვე აწერის
ში მოუთაროვა. იქაურ ქარ-
ის ულელი ხარი ტყეში წაეს-
ინამ ის შეშას მოსჩეხავდა,
საუკეთესო ხარი გვერდიდან
. ხარი... შვილივით ნაზარდი!
მლავლა გლეხმა, მაგრამ გვიან-ღა
. ჩვენს ცნობილს ოსურ პა-
ოსანს განა სულ გაუწყდა სი-
ისი ვილდაში ქურდობით?...
ოვიდა აწერისხეველი ხარის
ხრობელად. სამთხრობლო აწე-
ხეველს ერთი თუმანი აიცინ-
, წაიყვანა ქურდ ოსებთან,
ტეხა ისინი. ხარი შეეჭამათ,
ო რქები-ღა გამოუტანეს პა-
ონს. საცოდავი სანახავი იყო
ების დანახვაზედ გლეხი, მორ-
მოთქმით ტირილი, კაცს ეგო-
ოდა ცხედარი უდევს წინაო.
ოტყდნენ, როგორც მოჰპარეს
ერდიდგან. დაიყენეს შუა კა-
ი და ქართველის სასარგებლოდ
ოდ ოსებს დააკისრეს შვიდ თუ-
ნახევარი. დალოცა ღმერთმა,
კიდევ ეს ხასიათი სჭირთ;
ძმას აბაზზედ გაჰყიდის; თო-
რა ეშველებოდათ ქართვე-
ებს? ზალდელისათვისაც მოე-
ნათ ერთი ხარი პატარა
ახვის ქურდებს. აქაც გა-
იდა მთხრობელი და ამას
ად შუა კაცებიდგან გადა-
ვინებული ერთი ცხენი, ძრო-
მოზვერი, თხა, ცხვარი და ქვა-
ი ჩამოატარა ზალდელმა, მაგ-
ქურდების სამწუხაროდ, კი-
იმუქრებოდა, მთავრობასაც
ატყობინებო. ერთი ქვრივი დე-
ცისათვისაც მოეპარნათ ორი
ხა და იმის შვილისათვის კი-
ც ბლომად ეცემნათ პატარა
ახვის ქურდებს. ორ კვირაში
რულ წვრილფეხს, ოლცადს სა-
ელს და ფრინველს ვინ მო-
ლის, ეს რაც გამოჩნდა და და-
ენი ალახმა უწყის. ქურდ
, ბედნიერ დღეებში, მართა-
ფხაც გადიესანსლათ. სხვა

რას მომპარავდნენ, მეტი რომ არა მყავდა-რა. ერთი თხა-ღა დამრჩა და რამდენსაც ჩამოატარებს მწყემსი თხებს შევეკითხები: ჯერ არ მოუპარიათ-მეთქი? რას ბრძანებთ, მეც რომ მოსაპარი ვიყო დამზოგავენ?... ჩემი ცოდოც იმასა და ვინც ეს თხა მოიპაროს ისიცა. მე ჩემსას არ დავიშლი. საჭიროა ბოქაულებმა დამალულ ბოროტმოქმედებას ყურადღება მიაქციონ.

მართალაძე.

# სასარგებლო ცნობა

## ღირს სიცოცხლე?

ვილლიამ ჯემსისა

(დასასრული *)

II

თუ გნებავთ გაიგოთ შინაარსი ჩემი წინადადებისა, გთხოვთ წარმოიდგინოთ, რომ თქვენ ელაპარაკებით კაცს, რომელსაც ისეთი დამოკიდებულება აქვს ცხოვრებასთან, რომ მარტო შემთხვევით სცოცხლობს. და რამწამს ეს შემთხვევა მას თავს დაანებებს, იგი მზად არის სიცოცხლე მოსპოს. რა საბუთები უნდა წარმოუდგინოთ ჩვენ მას, რომ მან ხელ-ახლად მოინდომა სიცოცხლე? საერთოდ ამისთანა კაცს ქრისტიანეთ შეუძლიანთ უთხრან მარტო ეს აზრი: „არ უნდა ჰქმნა“. ერთი ღმერთი არს შემქნელი სიცოცხლისა და სიკუდილისა, იტყვიან იგინი, და თუ ჩვენ დავასწარით მას სიცოცხლის მოსპობა, ეს სულ ერთია, ვითომც ჩვენ ჩავიდინეთ ქურდობა ჩვენივე სიცოცხლისა. ნუ თუ ჩვენ ველარ ვიპოვით ამაზე მეტ საფუძველს, საიდანაც თავის მკვლელს შეგვიძლიან დავანახოთ და გავაგებინოთ, რომ მან უნდა იცოცხლოს ცხოვრებისათვის. გასაჭირი ის არის, რომ თავის მკვლელები სულ ერთ საბუთიანები არ არიან; (შეერთებულ შტატებში იგინი წელიწადში 3,000-მდე არიან, და ყველას ხომ ერთი და იგივე საბუთი არ ექნებათ?) და მეც გულწრფელობით უნდა ვსთქვა, რომ მომეტებული ნაწილისთვის ჩემ სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სადაც თავის მკვლელობა უგუნურობის გამო ჩნდება, იქ შთაგონებას არავითარი ღონისძიება არ აქვს, შეაჩეროს იგი. ამისთანა შემახვევის ასაცილებლად შემიძლიან მარტო მტკიცე სარწმუნოებრივი მოთმინება წარმოვადგინო. მაგრამ საგანი ჩემი ლაპარაკისა ცოტათი განირჩევა ამასთან, მე ვამბობ მარტო მეტაფიზიკურ „tadium vitae“-ზე, რომელიც მარტო სჯის შემძლე კაცს შეჰფერის. ბევრნი არიან ისეთნი, რომელნიც თავის სიცოცხლეს მარტო მეცნიერებას ვადაააკლავენ ხოლმე, ბევრია ისეთი, რომელთაც კიდეც იგრძნეს ის ურწმუნოება, რომელსაც მოსდევს ხოლმე ჩხრეკა სხვა და სხვა საგნების დასაწყისისა. ეს არის ერთი ჩვეულებრივი დაბოლოვება, რომელიც ხდება მომეტებული სამეცნიერო ჯაფის გამო. მაღალი რიცხვი კითხვებისა და მცირე შეძლება ამ კითხვებზე პასუხისა, აგდებს კაცს უფსკრულში, სადაც არის პესსიმიზმი და ის შეხედულობა ცხოვრებაზე, რომელსაც ყოველთვის მოსდევს თავის კვლა. მაგრამ გონებრივ სატკივარს, თითონვე გონებას შეუძლიან უწამლოს; და აი ის, რაზედაც მე მინდა ვისაუბრო. იგი მომეტებულად შეეხება იპოხონდრიას და „weltschmerz“-ს, რომლის მიზეზიც გონება არის.

მაგრამ მე აქ შევეხე იმ დასკვნას, რომლის დაბოლოვებაც იქნება მოწოდება სარწმუნოებრივ რწმენაზედ. თუ ჩემი აღმოჩენილობა დაარღვევს რასმეს,—მარტო იმას, რაც ეწინააღმდეგება სარწმუნოების ფესვს. ეს შეკრებილი ჩემი შრომა მდგომარეობს იმ მოსაზრების განხილვაში, რომელსაც მოსდევს ამ ზემო ხსენებულის ფესვის უარყოფა. თვით პესსიმიზმიცარის მხოლოდ სარწმუნოებრივი ავადმყოფობა და მომეტებულს გავრცელებულს სახეში ჩნდება, როგორც სარწმუნოებრივი და უკმაყოფელი მოკითხულობა.

ამ ავადმყოფობის მოსარჩენად, ჩვენ შეგვიძლიან აღვნიშნოთ ორი საშუალება: გადასვლა ბნელ-სოფლის გამოკვლევიდგან ნათელში, რაზედაც მე მსურს ვისაუბრო ცალ-ცალკე, და მეორე უფრო ვრცელი და სასიხარულო, რომელიც ეთანხმება განხორციელებას იმედიანობის და მოსიყვარულო სიცოცხლეში. როგორც ვიცით, არიან ისეთნი პირნი, რომელთაც თვით საკუთარი გონება მიიყვანს ხოლმე სულის უკვდავებამდინ, და ისეთნიც არიან, რომელთაც ძალიან ეძნელებათ ამ აზრის დაჯერება, უკანასკნელნი ყველაფერს სულ გარეგან გრძნობით და თავიანთ გამოცდილებით ამტკიცებენ. მომეტებულებს კი ეშინიანთ კიდეც გადახედონ იმ ფარდას, რომელიც ხურავს ჩვენგან გამოუჩენელს, საითკენაც პირიქით ზოგიერთს კი რაღაც მიმზიდველობა აქვსთ. მაგრამ, როგორც პირველ, ისე მეორე ხარისხის ხალხს შეუძლიანთ იქონიონ დაძალავებული შინაგანი სარწმუნოებრივი გონება, და შეიძლება ორივე მხარესაც სწყურია შეერთება ბუნებასთან, მაგრამ ამ წყურვილს, დასავრდომელს ფაქტების ქვეშე, იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობასაც აძლევს მათ მეცნიერება, შეიძლება მოჰყვეს პესსიმიზმი, და ადვილად შესაძლოა,—რომ ოპტიმიზმი, თუ იგი სარწმუნოებრივ იმედს მიმართავს კეთილისკენ. აი ამიტომ ვეძახით ჩვენ პესსიმიზმს სარწმუნოებრივ ავადმყოფობას. ბნელ სოფლის გამოკვლევას აქვს მრავალი, მაგრამ უმთავრესი მათ შორის არის ის მოცილეობა, რომელიც ბუნებისა და მიმზიდველობის შუა სუფევს, და რომელიც მუდამ უქადაგებს კაცს დაიჯეროს, რომ ამ ბუნების იქით არის რაღაცა, რომლის გამოხატვა ეს ბუნებაა. ის, რასაც ფილოსოფოსები ეძახიან „ბუნებითი თეოლოგიას“. იყო ერთი საშუალებათაგანი ამ მიმზიდველობის დაკმაყოფილების დაკმაყოფილებისა. მეორე საშუალება —არის პოეზია, რომლითაც მდიდარია ინგლისის მწერლობა. ეხლა წარმოიდგინეთ თქვენ კაცი მეორე ხარისხისა, რომლის მოსაზრებაც დავრდომილია და ფაქტებიც „მძიმე“. წარმოიდგინეთ, რომ ერთობრიობა ძალიან სწყურიან დაკმაყოფილებას თხოულობს,—ამ ბუნების გადაშენება კი შეუძლებელია არც თეოლოგიური და არც პოეტური გზით. მაშ რას უნდა მოველოდოთ აქედგან, თუ არა უთანხმობას და უკმაყოფილებას. ამ უთანხმობას შეუძლიან გამოიწვიოს ორ ნაირი შედეგი: ან სარწმუნოებრივ შეხედულობის მოსპობა, ან ცნობა სხვა მიმატებითი ფაქტებისა და მათი დაჯერებისა. მარტო მაშინ შეგვიძლიანთ აღვადგინოთ დაკარგული სარწმუნოებრივი გაგება. ეს ორი შედეგი არის ის ორი წამალი პესსიმიზმისა, რაზედაც ეხლა ვლაპარაკობდით, და რასაც ამას იქით დაწვრილებით გიამბობთ.

გრიშა ალგეთისპირელი

*) იხ. «ცნობ. ფურც» № 741.

## რჩეული აზრები

—

ყოველივე გაივლის მხოლოდ სამართლე დარჩება.

—

ტანჯვა და სიყვარული თვით დრუბლებშიაც გაივლის და მზეს ზემოთ მოაქცევს.

—

სიკეთე და სიმართლე უკვდავია, სიავკაცეს კი ბოლო აქვს.

—

ლექსებს მხოლოდ ისმენენ, ცხოვრებაში-კი ლექსით არ ლაპარაკობენ.

## ყურმოკრული საუბარი

—

— მადლობა ღმერთს, სიყვარულის ბაცილებიც აღმოუჩენიათ.

— მერე-და რითი საზრდოობენ ეგ ბაცილები?

— ბრილიანტებით, ოქროთი და ქა-

დალდის ფულითა.

—

— მეეტლევ, თავისუფალი ხარ?
— თავისუფალი ვარ.
— მაშ, გაუმარჯოს თავისუფლებს.

—

— გაიგე ახალი ამბავი? ჩვენი თომაანთ სონა თურმე თმას იღებავს შავად, ისე-კი ქერა თმა ჰქონია.

— ტყუილია ის პირდაპირ შავ თმას ყიდულობს.

## გასართობი

—

გასათხოვარი ქალის ბედი. ერთ გასათხოვარ ქალს ორი საქმრო ჰყავდა: ერთი ხანში შესული და მეორე ახალგაზდა. ქალის გასასინჯავად ორივე საქმრო ერთ დროს მოვიდნენ. ქალის სახლში ახალგაზდა საქმროს უნდოდა ხნიერი საქმრო დაემცირებინა ქალის თვალში და დაეკითხა: — უმაწვილო, რამდენი წლისა ბრძანდებით? — ჩემი წლოვანება კი არ მახსოვს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ოცი წლის ვირი სამოცი წლის კაცზე უფრო ბებერიაო. უპასუხა ბრაზმორეულმა ხნიერმა საქმრომ.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

ჰაერში მოგზაურობა ლონდონიდან პარიზამდე. გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა არტურ უილიამსმა ამ ერთის თვის წინად განიძრახა ლონდონიდან პარიზში გადმოფრენა ჰაეროსტატით. მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა, და მეტად სამწუხარო ამბავი მოიდო. მასთან ერთად იყო რედაქტორი, რომელმაც იტვირთა ყველა ამ ექსპედიციის ხარჯები. მათ შეურჩიეს ჰაერში სამოგზაუროთ იმისთანა ქარიანი დრო, როდესაც არც ერთი გემი ნავთსადგურიდან არ იძროდა და მთელი ზღვა ტალღებისგან ირყეოდა. იმისთანა სისწრაფით გააქანა გრიგალმა ჰაეროსტატი, რომ შიგ მსხდომთ სრულიად დაეფანტათ გონება; ის იყო გაქანებული ჰაეროსტატი მიუახლოვდა მდუღვარე ზღვის ტალღებს და მოგზაურებმა განიზრახეს გადმოსვლა. გადმოყარეს ბარგი, ჩამოუშვა უილიამსმა თოკი და ჩამოჰყვა დედამიწაზედ, ის კი სრულიად დაავიწყდა, რომ ჰაეროსტატში მისი ამხანაგი რედაქტორიც იყო. ვეღარ მოიფიქრა, რომ თოკი ხელში დაემაგრებინა. მანქანამ იტაცა თოკი ზევით, ისე რომ როდესაც რედაქტორი ძირს ჩამოდიოდა თოკი აღარ დასწვდა ძირამდე 50 მეტრის სიმაღლეზე და იქიდან ჩამოვარდა ჭაობში. ივენმატიურმა ტანთ საცმელმა რბილათ დაუშვა ჭაობში და გადარჩა სიკვდილს.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

1 თებერვალი

**პარიზი.** მოლაპარაკებამ პარიზსა და ლონდონის კაბინეტებს შორის სადავო საქმეების შესახებ მშვიდობიანი ხასიათი მიიღო. „Figaro“-ს სიტყვით, ინგლისი პრინციპიალურად დასთანხმდა მისცეს საფრანგეთს გზა ნილოსისკენ გასავლელად ვაჭრობისათვის. ამ ახლო ხანში სადიპლომატიო მოლაპარაკებით ბოლო მოეღება უთანხმოებას.

2 თებერვალი

**პარიზი.** სენატი. ლებრემ შეიტანა პროექტი იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის პალატას ნება არ მიეცეს დრეიფუსის საქმის ხელ ახლა განხილვისა. პროექტი გარდაეცა ბიუროს, რომელიც დანიშნავს განსაკუთრებულ კომისიას.

**მანილია.** შაბათს ამერიკელებმა აიღეს ილო-ილო, მეამბოხეთ წასვლის დროს ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს. ამერიკელებმა ცეცხლი ჩააქრეს. მეამბოხეთ, როგორც სჩანს, დიდი ზარალი მოუვიდათ.

**ვაშინგტონი.** გენერალი ოტისი იუწყება, რომ ამერიკელებს ილო-ილო ხელთ უჭირავთო. მეამბოხეთ ვადა 11 თებერვალამდე მისცეს, მაგრამ რადგან უწესოდ იქცეოდნენ, ომი დილიდგანვე დაიწყო.

3 თებერვალი

**პეტერბურგი.** „პეტერბურგის უწყებების“ მე-23 ნომერში დაბეჭდილია უქვეშევრდომილესი ადრესი მოსკოვის თავად-აზნაურთა, რითაც დარღვეულია დადგენილი წეს რიგი. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა გარდასწყვიტა აკრძალულ იქმნას „პეტერბურგის უწყებების“ ცალკე ნომრობით გაყიდვა.

**ვენა.** „Nene Freie dessie“-ს სიტყვით, საქმის მცოდნე წრეებში ამტკიცებენ, რომ გუშინ იმპერატორთან თათბირის დროს ბანფიმ ხელ-ახლა ითხოვა — ან გამოგვიცხადეთ ნდობა მე და მთელს კაბინეტს და ან სამსახურიდგან გადავდგებითო. გაზეთი დასძენს, რომ ხვალინდელი მოლაპარაკება, რომელსაც, ბანფის გარდა, ფეიერვარი, ლუკაჩი და სელიც უნდა დაესწრონ, რომელნიც ვენაში არიან დაბარებულნი, საბოლოოდ გარდასწყვეტს საქმის მსვლელობასო. აი რისთვის უნდა მოველოდეთ ამ დღეებში სამინისტროს კრიზისსა.


## განცხადებანი

## „ივერია“

გამოვა 1899 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 |

საზღვარგარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით.

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავ[ვე] მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწ[ერი] ფული ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს ამ გვარად: ხელის-მოწერის დრ[ოს] 3 მან., პირველ მარტს 2 მან., პირველ მაისს — 3 მან. და პირ[ველ] სექტემბერს — 2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში [...] მანეთად დაეთმობათ, ნახევარის წლით — 4 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ად[გილ]ზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მა[ნე]თი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის ად[გი]ლიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოადგინოს ორი აბაზი.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზედ თითო-ჯერ სტრიქონი — 8 კაპ., პირველზედ — 16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებ[ის] კანცელარ. სასახლის ქუჩ.. სათ.-აზნ. ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція «ИВЕРІА.»

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავა[ძე]

—

**1899 годъ** **изданія годъ [...]**

Отрыта подписка на выходящее 20 разъ въ годъ, т. е. по одному раз[у въ] теченіе четырехъ лѣтнихъ мѣсяцевъ (май, іюнь, іюль, августъ) и по два р[аза] въ остальное время, илюстрованное изданіе безъ предварительной цензу[ры]

### „Журналъ Журналовъ и Энциклопедическое Обозрѣніе“.

Въ 1898 году были напечатаны слѣдующія оригинальныя статьи: проф.—[...]тизмъ и внушеніе;—Замѣтки о соціализмѣ; —Х-лучи Рентгена. Радіоскопія [и ра]діографія; —Потребленіе свѣта растеніями:—1) Вліяніе смѣшенія расъ на [про]исхожденіе генія, 2) Международный языкъ будущаго; В. Ф. Головачовъ.—О вл[...] флота для Россіи на основаніе исторіи, И. А. Гриневская—1) Альфонсъ Додэ, 2) [...] выставка, 3) Альма Тадема; 4) Герг. Гауптманъ; проф. Н. Коркуновъ—1) Доменико [Гир]ландайо и вновь открытая во Флоренціи его фреска, 2) Экономическія теоріи кос[...]ства; проф. 1) Послѣдствія американской побѣды. 2) Типъ преступной жен[щины]; М. М. Манасеина О деньгахъ и о богатствѣ; проф. Д. И. Менделѣевъ Золото и с[е]ребра; проф. Обсерваторія на Монрозѣ и альпійская станція; проф. О совпаде[...] (съ примѣч. Тріема); Л. Е. Оболенскій Дикость современныхъ западно-европ[ей]скихъ масс и ея причины; проф. О чародѣйствѣ и волшебствѣ у первобытныхъ [наро]довъ, 1) Задачи воздухоплаванія въ 1897 г., 2) Стремленіе къ живни и [...] конечныхъ причинъ; проф. Л. Саккети Задачи искуства; прив.-доц. Спб. Унив. [...]рафимовъ—Новости астрономіи; акад. кн. И. Р. Тархановъ.—1) Неожид. науч[ное на]слѣдіе стараго года, 2) О періодичности въ явленіяхъ жизни, 3) Физич. энергія [при]роды въ качествѣ цѣлебн. силъ, 4) О чувствѣ оріентированія у голубей, 5) [...]луби, 6) О закаливаніи человѣка, 7) О іейронахъ, 8) Физіол. и психол. обезглав[...] 9) Рентгеновы лучи и Ѳемида; и др.; Тремъ—О томъ, что было, но прошло и бы[льем] поросло; и другія статьи разныхъ авторовъ.

Кромѣ оригинальныхъ статей, не появлявшихся до сего въ печати и напи[сан]ныхъ большею частью спеціально для журнала выдающимися учеными и мыслите[лями] какъ русскими, такъ и иностраными. въ отдѣлѣ „Изъ журналовъ“ печатаются экс[трак]ты замѣчательнѣйшихъ статей, и статей извѣстнѣйшихъ авторовъ, появляющихс[я въ] русской или иностранной періодической прессѣ. а также критика и библіографія, [об]зрѣніе русскихъ и иностранныхъ журналовъ смѣсь, гигіена и здоровье и пр. Въ [прог]рамму журнала входятъ: науки естеств., медиц. физико-математ., исторія и общ[ест]науки, философія, метафизика, психологія. литература, искуства, критика и т. д.

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ при сотрудничествѣ и под[на]блюденіемъ акад. кн. И. Р. Тарханова; исторіи—при сотрудничествѣ и [...] Головачова.

| Подписная цѣна. | | на годъ. | на 1/2 |
|---|---|---|---|
| | На роскошное изданіе съ доставк. и перес. | 10 р. | 6 р. |
| | На дешевое изданіе безъ достав. | 5 „ | 3 „ |
| | „ „ „ съ достав. | 6 „ | 4 „ |
| | За границу деш. изд. | 9 „ | 5 „ |
| | „ „ роск. изд. | 14 „ | [illegible] |

Отдѣльные номера дешеваго изданія по 75 к.. роскошнаго изданія по 1 р.

Роскошное изданіе печатается на лучшей бумагѣ съ улучшенными илюст[рація]ми и иногда съ увеличеніемъ ихъ количества. Разсрочка на дешевое изданіе съ [пере]сылкою и доставкою при обращеніи непосредственно въ контору журнала до[пуска]ется со взносами не менѣе 1 р. ежемѣсячно съ 1 января.

Подписка и продажа отдѣльныхъ №№ во всѣхъ значительныхъ книжныхъ [мага]зинахъ и въ конторѣ журнала.

Издатель-редакторъ И. П. Кондыревъ.

Контора и редакція СПБ., Гороховая, 13 (уголъ Б. Морской).

(10—1[...])


Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Февраля 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბუნიასა), რედაქტორ-გამომცემელი ზ. ჭიჭ[...]